საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

30/03/2023
N 09-02-16/183

183-09-02-16-2-202303301537

აჭარის ა/რ ჯანმრეთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ნინო ნიჟარაძეს

სადეპუტატო კითხვა

ქალბატონო ნინო,

საქართველოს კონსტიტუციის მე -15 მუხლის პირველი პუნქტისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მაცნობოთ:

სად და ვისთან უნდა გაიაროს ინტელექტუალური პრობლემების მქონე პირმა პროფილური შემოწმება და ვინ უნდა გასცეს მასზე დაავადების შესაბამისი საექსპერტო დასკვნა სოციალური პაკეტის მისაღებად?

კითხვით განპირობებული ფაქტობრივი გარემოებანი - საქმის კურსში იქნებით, რომ იმ ششმ პირებს ,ვისაც შეზღუდული შესაძლებლობა დადგენილი ჰქონდათ უვადოდ, და დასაქმებული იქნენ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შეუწყდათ სოციალური პაკეტი. მას შემდეგ , რაც აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სახალხო დამცველმა , მთავრობამ დაასწრო საჩივრის განხილვას და თავის დადგენილებაში განახორციელა ცვლილებები, რითაც გამოასწორა, ამ სტატუსის მქონე პირთა მიმართ სრულიად მცდარი და არა ჰუმანური მიდგომა. უფლებების შეწყვეტა-აღდგენის შუალედში მათ დაკარგეს სოციალური პაკეტი, ბევრი მათგანი კი ვერ ახერხებს ხელახალი

ექსპერტიზის გავლას, რადგან სოციალური პაკეტის განახლება აღდგენად კი არა, რატომღაც, ხელახალ დანიშვნად განიხილება.

პატივისცემით,

მედეა ვასაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები